თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2025 წლის 4ივნისის
მორიგი სხდომის
ოქმი № 7

ქ. თერჯოლა 4 ივნისი 2025 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. თემური ქოჩიაშვილი, 4. როლანდი მესხი , 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახათაძე, 9.ომარი ჯიხვაშვილი, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალ ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. დავით გოგბერაშვილი, 17. ეკა ბერძენიშვილი., 18. გოჩა ვერულაშვილი,
სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. კახა ბუცხრიკიძე, 2.რამინი რობაქიძე, 3.თამარი ახვლედიანი, 4. ფრიდონი გვენეტაძე, 5. დავით ცხადაძე, 6. ნატალია ასათიანი, 7.კობა კირკიტაძე, 8. მერაბი ბასილაძე, 9.ლაშა გურგენიძე, 10. ივანე ჩუბინიძე, 11.ტარიელ ფანჩულიძე, 12.რუსუდან კოვზირიძე.
საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 18 წევრი
კვორუმი: 12 წევრი

სხდომა დაიწყო 12 00 სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 40სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28251533, 02.06.2025 წ.);

/მომხს.:თ. ქოჩიაშვილი/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ“ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28251534, 02.06.2025 წ.).

/მომხს.:თ. ქოჩიაშვილი/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №109-ში მდებარე მერიის შენობაში (ს.კ. 33.09.45.949) არსებული 27.18 კვ.მ. და 13.32 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქირავნობის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2(ორი) წლის ვადით გადასცეს მოქ. მ.ჯ.-ს)თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282515380, 02.06.2025 წ);

/მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე/

4. თერჯოლის მნუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 5 მარტის №გ-29.250643 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282512515381, 02.06.2025 წ.).

/მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების

პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.
ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა არ შეცვლილა და შეადგენს 34167.3 ათას ლარს.
ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 63.0 ათასი ლარით. მ/შორის:
მერიის დაფინანსება შემცირდა 38.0 ათასი ლარით.
კადრების მომზადება გადამზადების ხარჯი შემცირდა 15.0 ათასი ლარით.
ახალგაზრდული ღონისძიებების ხარჯი შემცირდა 10.0 ათასი ლარით.
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 63.0 ათასი ლარით მ/შორის:
სარეზერვო ფონდი გაიზარდა 30.0 ათასი ლარით.
საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურეობა გაიზარდა 33.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-18 , წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი(დადგენილება №13, 4.06.2025 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია.
ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზრდება 40.1 ათასი ლარით გრანტი და შეადგენს 34167.3 ათას ლარს.
საშემოსავლო ნაწილი გაიზრდება 40.1 ათასი ლარით გრანტი.
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 40.1 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია.

3.
მოისმინეს: მომხსენებელმა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №109-ში მდებარე მერიის შენობაში (ს.კ. 33.09.45.949) არსებული 27.18 კვ.მ. და 13.32 კვ.მ.

არასაცხოვრებელი ფართი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქირავნობის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2(ორი) წლის ვადით გადასცეს მოქ. მ.ჯ.-ს) განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №109-ში მდებარე მერიის შენობაში (ს.კ. 33.09.45.949) არსებული 27.18 კვ.მ. და 13.32 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქირავნობის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2(ორი) წლის ვადით გადასცეს მოქ. მ.ჯ.-ს, განკარგულების პროექტი(განკარგულება №29.29251555001, 04/06/2025).

4.
მოისმინეს: მომხსენებელმა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მნუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 5 მარტის №გ-29.250643 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ
კენჭისყრის შედეგები: მომხრე -18, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მნუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 5 მარტის №გ-29.250643 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი(განკარგულება №29.29251552, 04/06/2025).

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 4 ივნისის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი